


ქართული
სპორტის
კავშირები

სურათებზე: მარცხნივ —
ქუთაისის ლიტომონის ქარხნის
მუშები, მარჯვნივ — თბილისის
კიროვის სახელობის ქარხნის თა-
ნამშრომლები საწარმოო ტანვარ-
ჯიშზე.
ფოტო ი. იუნავეისა და
მ. ზარგარიანისა.

საწარმოო ტანვარჯიში ჯანმრთელობის წყაროა!

8

პროლეტარებო ყველა მშენებელი, შეერთდით!



ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საპარტიზოლო სსრ
სპორტულ საზოგადო-
ებათა და ორგანიზა-
ციების კავშირისა და
პროფკავშირთა საპა-
რტიზოლო რესპუბლი-
კური საბჭოს ორგანო

ივლინი
შაბათი,
1961 წ.
№ 94 (1730)
ბათუმის №17 წელი
ფასი 8 კაპ.

ჩვენ სპორტსმენები საზღვარგარეთ

ივლინი

მსოფლიოს უძლიერესმა ნიჩბო-
სნებმა მოიყარეს თავი ლონდონის
საერთაშორისო რეგატაზე. სტარ-
ტზე გამოვიდნენ ინგლისის, აშშ-ს,
ავსტრალიის, საბჭოთა კავშირისა
და სხვა ქვეყნების გამოცდილი
სპორტსმენები, მაგრამ ბევრმა
პირველსავე სტარტზე განიცადა
მარცხი და გამოაკლდა შეჯიბრე-
ბას. ასეთი ბედი ეწვია ერთადგი-
ლიანი ნაგებობის შეჯიბრებაში ოთხ-
გზის გამარჯვებულ ავსტრალიელ
მაიკის, რომელიც შეხვდა საბჭო-
თა სპორტსმენ ა. ტიურინს. ა.
ტიურინმა დაძაბულ ბრძოლაში
სძლია ავსტრალიელს და მოი-
პოვა შეჯიბრების შემდგომ ეტაპ-
ზე მონაწილეობის უფლება.

ფინეთი

აქ გაიმართა მძლეოსანთა საერ-
თაშორისო შეჯიბრება მსოფლიოს
საუკეთესო სპორტსმენთა მონაწი-
ლეობით. 110 მეტრზე თარგბენ-
ში გამარჯვებული გამოვიდა საბ-
ჭოთა სპორტსმენი ვ. ჩისტიაკოვი.
რომის ოლიმპიური თამაშების
ჩემპიონი მ. პალბერგი (ახალი ზე-
ლანდია) პირველი იყო თავის ძი-
რითად ლისტანციაზე — 5.000 მე-
ტრზე რბენაში (13.57,4), მსოფ-
ლო რეკორდსმენმა ი. ბალაშმა
(რუმინეთი) ქალთა შორის სიმა-
ღლეზე ხტომაში გაიპოვა ამას
წინათ მოსკოვში ნაჩვენები შედე-
გი — 185 სმ.

გურ

ლორტქედში დაიწყო მოქალა-
ჩეთა საერთაშორისო ტურნა-
რი, სადაც მონაწილეობენ გერ-
მანის უძლიერესი გროსმაისტერები
და ოსტატები. ტურნირში ჩვენი
ქვეყნიდან გამოვიდა მსოფლიოს
ჩემპიონი მოსკოველი გროს-
მაისტერი ვ. სმისლოვი და ლე-
ნინგრაძელი გროსმაისტერი მ.
ტაშინოვი.

ყველა შეჯიბრება ჩავატაროთ ორგანიზებულად, მაღალი შედეგებით

რესპუბლიკის სპორტული კა-
ლენდარი მთელი ჩვენი მუშაობის
ძირითადი დოკუმენტია. აქ გათვა-
ლისწინებულია ყველა შეჯიბრება,
რომელიც რესპუბლიკური მასშ-
ტაბით უნდა ჩატარდეს.
ახლა, როცა ფიზკულტურულ-
სპორტულმა მოძრაობამ ჩვენს
ქვეყანაში დიდ წარმატებას მიაღ-
წია, თითქმის უზერბულია ვილაპა-
რაკოთ შეჯიბრების ორგანიზებუ-
ლად ჩატარების მნიშვნელობაზე,
მაგრამ ფაქტები მოწმობენ იმაზე,
რომ ზოგიერთ ფიზკულტურულ
მუშაკს, მწვრთნელს და სპორტს-
მენსაც ავიწყდება, რომ შეჯიბრე-
ბა სპორტსმენთა აღზრდის საუკე-
თესო სკოლა და სპორტის აგია-
ციის საუკეთესო საშუალებაა,
რომ შეჯიბრების მომენტში ვლი-
ნდებთან მაღალი კლასის სპორტ-
სმენები და მყარდება ახალი რე-
კორდები. შეჯიბრებები ხშირად
მიმდინარეობს დუნედ, დაბალ
ორგანიზაციულ დონეზე და
შედეგებიც შესაბამისია. აი ფაქ-
ტებიც: მძლეოსანთა შეჯიბრე-
ბაში რესპუბლიკის პირველო-
ბაზე მონაწილეობდა 215 კაცი,
ნაჩვენები იქნა 1 ოსტატის, 4 პირ-
ველი თანრიგის, 72 მეორე თანრი-
გის, 152 მესამე თანრიგის შედე-
გი, ხოლო 136-მა მონაწილემ სა-
ერთოდ ვერ აჩვენა სათანადო
შედეგი.

სპორტის შემდგომ განვითარებას.
ეს რაც შეეხება ტექნიკურ შედე-
გებს. მაგრამ შეჯიბრებას აქვს მე-
ორე, არანაკლებ საპასუხისმგებ-
ლო მხარე — ორგანიზაციული.
ამას წინათ თბილისში ჩატარდა სა-
ქართველოს პირველობა ველორო-
ლაში (ტრეკი). ამ შეჯიბრების შე-
დეგებზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ,
ხოლო რაც შეეხება მის ორგანიზა-
ციას, ეს ყოველგვარ კრიტიკაზე
დაბლა იდგა. პარალელ მდგარი
ველოსიბედისტები ტრეკიდან ტრი-
ბუნებზე ელამარაჯობოდნენ მაუურ-
რებლებს, ენას უყოფდნენ, ტაქი-
მასსარაობდნენ, არაფერ უგდებდა
ყურს ფედერაციის თავმჯდომარის
მისალმებას. შემდეგ, როცა ვაის-
მა განკარგულდება — „მარჯვნივსაქენ“!
ზოგი მებრუნდა მარჯვნივ, ზოგი
მარცხნივ, ზოგიც კი — ზურგისა-
კენ, რის შემდეგ ზღაზღვით გაე-
მართნენ გასახლეისაკენ. დასწ-
რენი იცინოდნენ და დასცილდნენ
კიდევ ასე სანახაობას. ეს ფაქ-
ტი კი იმაზე მეტყველებს, რომ
არც ველოსიბედისტთა მწვრთნე-
ლებს და არც თვითონ სპორტს-

მენებს შეგნებული არა აქვთ შე-
ჯიბრების, მისი გახსნის ცერემო-
ნიალის მნიშვნელობა, პატივის არ
სცემენ მაუურებელს.
წინა სსრ კავშირის ხალხთა III
სპარტაკიადა. წინა ორ სპარტაკიადა-
ზე დაკავებული საერთო V ადგი-
ლი რესპუბლიკის საზოგადოებრი-
ობას უკვე აღარ აკმაყოფილებს.
დროა, წინ გადავიწვილოთ. მაგ-
რამ რითი, ასეთი დაბალი ორგა-
ნიზაციული და ტექნიკური შე-
ჯიბრებით? რასაკვირველია არა.
ამიტომ ფედერაციებმა წინასწარ,
გულდასმით უნდა შეარჩიონ მო-
წილეები, სპორტულმა საზოგა-
დოებებმა და სპორტკავშირებმა
სასტიკად დაიცვან დებულებით
გათვალისწინებული სათანადო
მოთხოვნები. როცა ამას მივალ-
წევთ, შეჯიბრებასაც ნაყოფი ექ-
ნება, ხალხიც ტყუულად არ მოსც-
დება სამუშაოს და სახსრებიც
დააზოგება. ყოველი შეჯიბრება
სათანადო ნაყოფს უნდა იძლეო-
დეს.

ყველა შეჯიბრება ჩავატაროთ
მაღალი ტექნიკური შედეგით, ორ-
განიზებულად! — ასეთია ამოცა-
ნა საბჭოთა კავშირის ხალხთა III
სპარტაკიადისთვის მზადების
დღეებში.

დღეს!
„გურკავსტნიკის“
სტადიონზე
გაიხსნება
კავშირების
III
რესპუბლიკური
სპარტაკიადა
დასაწყისი 17 ს. 30 წ.



სპორტის დასახურე-
ბული ოსტატი ი. ქორ-
ქია წლების განმავლო-
ბაში თბილისის „დინა-
მოს“ კალათბურთელთა
გუნდის წამყვანი მოთა-
მამე და მისი უცვლე-
ლი კაპიტანი იყო. ამ-
ჯერად სახელმწიფო-
ლო სპორტსმენი „დინა-
მოს“ უფროსი მწვრ-
თნელია. ჩვენი რედაქ-
ციის ფოტორეპორტიო-
რმა მ. ზარგარიანმა იგი
მასზე გადაიღო, როცა
ი. ქორქია თვალყურს
აღევნებდა „დინამოს“ და
ლენინგრადის „სპარტა-
კის“ თამაშის მსვლე-
ლობას.
შევედრის ანგარიშ-
იხ. მე-8 გვერდზე.

„მალურეირას“ ორი მატჩი

ჩვენს ქვეყანაში ტურნეს ატა-
რებს ბრაზილიის საფეხბურთო
კლუბი „მალურეირა“. პირველი
შეხვედრა ბრაზილიელებს ჰქონ-
დათ ვინცაში და წააგეს — 4:2.
„მალურეირას“ მეორე გამოსე-
ლა შედგა 5 ივლისს კიევიში, „ა“
კლასის გათამაშების ერთ-ერთ ლი-
დერ კიევის „დინამოსთან“.
ბრაზილიელებმა აჭერად საუ-
კეთესო თამაში აჩვენეს და მიაღ-
წიეს გამარჯვებას — 2:1.

ფეხბურთის მოყვარულებმა უკ-

მაყურებლები დიდი ინტერესით

მოზარდ ფეხბურთელთა შეჯიბ-

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

შოსტაბ. (ტელეგრაფით ჩვენი

კარგად ჩატარეს თავიანთი შე-

ვებული და ხელმძღვანელობა სრუ-

რეზიუმე — მათი ყურადღება

რესპუბლიკური ფედერაციის სპე-



სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

პირველი მამაკაცები

სოფიის საერთაშორისო ტურ-

ვინ დახვედრია და გუ-

საე იყო თუ ისე, თბილისის

თი 79:49, 40 წუთი—94:72, ყვე-

ამ დღეს სპორტის სასახლეში

გამართა კალათბურთში 1961

Table with 2 columns: Name and Score. Includes teams like 'სპარტაკი' and 'დინამო'.

სურათი: ზემოთ — გ. მი-



ლ ე ლ ი

Table with 2 columns: Name and Score. Lists various basketball teams and their scores.


გუშინ შედგა მორიგი მატჩები

Table with 2 columns: Name and Score. Lists various basketball teams and their scores.

გულდებს შორის, ტაშკენტის „პა-

არა აქვს სპეციალური ფიზკულტუ-

საე იყო თუ ისე, თბილისის



თბილისის კერამიკული კომბინა ტის ფიზკულტურელები საკუთარი ძალებით აგებენ სპორტულ მოედანს.

სურათზე: მოედნის მშენებლობა ავტ.

ფოტო გ. თარალაშვილისა.

ბათუმში ორ დღეს გაგრძელდა საქართველოს 1961 წლის პირად-გუნდური შეჯიბრება საიალქნო სპორტში მონაწილეობის შორის შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმისა და სოხუმის გუნდები.

გოგონათა შორის „მ“ კლასის შვედბოტებით პირველ ადგილზე გამოვიდა ბათუმელი ე. აკლოვა, კაბუტა შორის ამავე სახეობაში გამარჯვება მისმა თანაგუნდელმა ბ. მამფორიამ. მომდევნო ადგილებზე არიან რ. ჩხარტიშვილი (სოხუმი) და ე. ოვანუშვილი (თბილისი).

„ფინის“ კლასის შვედბოტებით საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: გოგონათა შორის — ლ. ვიორგობიანი (სოხუმი), კაბუტა

შორის — ა. მიტიუცი (ბათუმი). გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებს ბათუმის ნორჩმა მებრძოლებმა. მეორე ადგილზეა სოხუმის, ხოლო მესამეზე — თბილისის გუნდი.

დამთავრდა შეჯიბრება, შეჯამდა შედეგები, მაგრამ არ შეიძლება არ აღენიშნოს ის ფაქტი, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიიღო ფოთის გუნდმა, ხოლო მესამე ადგილზე გამოსულმა თბილისის კოლექტივმა ვერ გამოიყვანა სრული შემადგენლობა, თუმცა ამ ქალაქებში კარგი პირობები არის საიალქნო სპორტის განვითარებისათვის.

ი. კუსიდი

დამთავრდა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის საზოგადოებრივი სპორტის სახეობაში კიევის სპორტის ცენტრის მიერ ჩატარებული საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის და დაწყებითი სწავლების ფაკულტეტების ტურნირი.

თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდეს ფიზიკა-მათემატიკის სპორტსმენებმა, რომლებმაც 24 საჭარბო ქულით დაიკავეს კიდევ პირველი ადგილი.

რ. მხვრელიშვილი

ცნობილი ფრანგული სპორტული ვაჭარის „ეკიპის“ რედაქციამ 1955 წელს წამოაყენა წინადადება ჩატარებულიყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ყოველწლიური გათამაშება ფეხბურთში. ამ იდეამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია ევროპის საფეხბურთო წრეებში და აღნიშნულ შეჯიბრება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა არა მარტო ევროპის, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც.

ევროპის ჩემპიონთა თასს ორიგინალური დებულება აქვს. ტურნირში გამარჯვებული კლუბი თავის მუდმივ საკუთრებად ლებლს თასის ზუსტ ასლს, ხოლო ორიგინალი — ე. ი. თვითთასი, ერთი წლის ვადით ინახება იმ ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ფედერაციის სეიფში, რომლის გუნდმაც მოიპოვა გამარჯვება, რის შემდეგ იგი გადაეცემა ფეხბურთის ასოციაციას ევროპის კავშირს (უეფა) ხელახალი გათამაშებისათვის. ტურნირის ფორმულაა ოლიმპიური სისტემა: ორი მატჩი საკუთარ და მოწინააღმდეგის მიმდრეკილად. ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში გამარჯვებულის საკითხს წყვეტს გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდება.


ევროპის ყოველ სახელმწიფოს უფლება აქვს გათამაშებაში გამოიყვანოს ერთი გუნდი — ჩემპიონი, თასის მფლობელი კი დამოუკიდებლად მონაწილეობს შეჯიბრებაში. ასე რომ, ერთ-ერთი ქვეყანა, როგორც წესი, ორი გუნდითაა ხოლმე წარმოდგენილი ტურნირში.

1956 წლიდან მოყოლებული ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ჩატარდა ექვსჯერ. პირველ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 16 სახელმწიფოს გუნდი, რომელთა შორის ფინალში გასვლისათვის წარმოებდა უარდისა და დაძაბული, მშვენივრ ბრძოლა. საკმარისია ითქვას, რომ ესპანეთის უძლიერესმა გუნდმა „რეალ მადრიდმა“ მხოლოდ ბურთების შეფარდებით სძლია „პარტიზანს“ (იუგოსლავია) — 4:0 და 0:3, აგრეთვე „მილანს“ (იტალია) — 4:2 და 1:2.

ესპანელები აგებდნენ ფინალურ მატჩსაც პარიზში „რეიმსთან“ (საფრანგეთი) — 0:2, მაგრამ გუნდმა მაინც შეძლო გარდატეხის შეტანა თამაშში და პირველად მოიპოვა თასი (4:3).

ეს იყო „რეალის“ პირველი გამარჯვება, მაგრამ მას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე...

მეორე გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ იტალიის „ფიორენტინა“ და „რეალი“, რომელთაც ნახევარფინალში საკუთარ მონდობზე დაამარცხა ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“ — 3:1,



ხოლო მოწინააღმდეგისაზე მაილწია ფრეს — 2:2. ფინალში მადრიდლებმა მოუგეს იტალიელთა ძლიერ გუნდს ანგარიშით 2:0.

თასის მესამე გათამაშება აღინიშნა უარესად სამწუხარო ფაქტით. ინგლისური პროფესიული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი „მანჩესტერ იუნაიტედი“ საშინელ საავიაციო კატასტროფაში მოყვა მიუნხენის აეროდრომზე და დაპყარვა რამდენიმე წამიანი მოთამაშე. ფინალში აქცვლავ ესპანელები და იტალიელები გავიდნენ — „რეალი“ და „მილანი“.

„რეალის“ საქმე ამჯერადც ბეწვზე ეკიდა (მატჩი მიმდინარეობდა ბრიუსელში, მსოფლიო გამოფენის დროს). „მილანი“ წინ იყო ანგარიშით 1:0 და მთლიანად ხელთ ეპყრა უპირატესობა, მაგრამ ესპანელთა ცენტრფორვარდმა და სტეფანომ გაქვითა გოლი და შემდგომში მოწინააღმდეგეთა კარებში გატანილი იქნა კიდევ თითო ბურთი — 2:2. დამატებითი დროში „რეალის“ მარცხენა გარეარბმა პენტომ გაიტანა ვადამწყვეტი გოლი და ესპანელებმა კვლავ წაიდეს თასი მადრიდში — 3:2.

მომდევნო შეჯიბრებაში 1959 წელს მონაწილეობდა 26 ქვეყნის 28 კლუბი. აქ განსაკუთრებით დაძაბული იყო ნახევარფინალური შეხვედრები: „რეალმა“ მხოლოდ დამატებითი მატჩის შემდეგ შეძლო თავისივე ქვეყნის გუნდის — „ატლეტიკოს“ დამარცხება (2:1, 0:1, 2:1), ხოლო „რეიმსმა“ პირველი თამაში წააგო შვეიცარიის „იან ბოსთან“ — 0:2 და მხოლოდ განმეორებით შეხვედრაში შეძლო ერთი ზედმეტი ბურთის გატანა, რომელმაც მას ფინალში გასვლის უფლება მისცა.

ფინალში თამაშობდნენ ძველი ნაცნობები — „რეალი“ და „რეიმსი“.

თასის VII

გათამაშება

მადრიდლებმა დიდი უპირატესობით ჩატარეს მატჩი და მაილწიეს გამარჯვებას ანგარიშით 2:0. თასის მეხუთე გათამაშების ფინალური მატჩი შედგა ვლახოვი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ „რეალი“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონი „აინტრაპტი“. მადრიდლებმა ნამდვილი არტისტული თამაში აჩვენეს ამ მატჩში და დაამარცხეს „აინტრაპტი“ ანგარიშით 7:3.

მაგრამ თასის ეს მუდმივი მფლობელი წელს გამოეთხოვა თავის პრიზს. VI გათამაშებაში „რეალი“ დამარცხდა ესპანეთის მეორე წარმომადგენელ — „ბარსელონასთან“ და პირველად გათამაშებათა ისტორიაში გამოეთიშა ბრძოლას, მაგრამ იგივე ბედი ეწია „ბარსელონასაც“, რომელმაც ფინალში წააგო პორტუგალიის „ბენფიკასთან“. ამ მატჩს დიდი ხმაური უძღოდა წინ უტხოეთის პრესაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ბარსელონაში“ ისევე როგორც „რეალში“ საუკეთესო მოთამაშეები არიან არა ესპანელები, არამედ ამხრეთ ამერიკელები, რომლებსაც კლუბის ხელმძღვანელობა ყიდულობს და საამისოდ არ ერიდება არაერთხარ ხარჯს. მატჩის წინ ამას განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ პორტუგალიაში, ვინაიდან იქ არაჰქონდათ ფინალში გამარჯვების იმედი, მაგრამ სიმართლე რომ

ითქვას, არც „ბენფიკა“ წმინდა პორტუგალიური გუნდი, ვინაიდან მის ძირითად შემადგენლობაში თამაშობს ოთხი ზანგი ფეხბურთელი ანგოლადან და მოზამბიკიდან (პორტუგალიის კოლონიები). ფინალი სენსაციური შედეგით დამთავრდა. „ბენფიკამ“ დაამარცხა თავისი მრისხანე მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:2 და ლისაბონში წაიღო ეს ძვირფასი პრიზი.

ამ დღეებში კოპენჰაგენში შედგა თასის VII გათამაშების კენჭიყარა, რომლის მიხედვითაც პირველ წრეში ერთმანეთთან თამაშობდნენ: „სპორა“ (ლუქსემბურგი) — „ოდენსე 1913“ (დანია), პოლონეთის ჩემპიონი — „ტოტენჰემი“ (ინგლისი), „კამბატერნა“ (შვეიცია) — ფინეთის „პოლანდია“, „ფორვერტი“ (გერმანია) — „ლინფილი“ (ჩრ. ირლანდია), „ნიურნბერგი“ (გერმ.) — „დრუმონდრა“ (ირლანდია), „სტანდარდი“ (ბელგია) — „ფრედერიკსშტადი“ (ნორვეგია), „მონაკო“ (საფრანგეთი) — „ვლახო რეინერსა“ (შოტლანდია), „სერვეტი“ (შვეიცარია) — „იბერნიე“ (შოტლანდია), „პანთინაიკოსი“ (საბერძნეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია), კა (რუმინეთი) — „აუსტრია“ (ავსტრია), „ეპსოში“ (უნგრეთი) — „რეალი“ (ესპანეთი), „ლუკა“ (ჩეხოსლოვაკია) — ცენა (ბულგარეთი), „სპორტინგი“ (პორტუგალია) — „პარტიზანი“ (იუგოსლავია). მეორე წრეში უშუალოდ გავიდნენ „ბენფიკა“ (პორტუგალია), აგრეთვე თურქეთისა და ფინეთის წარმომადგენლები.

თასის VII გათამაშება თავისი შემადგენლობით ძლიერ განსხვავდება წინა შეჯიბრებებისაგან. აქ ამჟამად არ მონაწილეობს წლებგანდელი ფინალისტი „ბარსელონა“ (ესპანეთი), წინა გათამაშებათა ფინალისტები „რეიმსი“ (საფრანგეთი), „ფიორენტინა“, „მილანი“ (იტალია) და „აინტრაპტი“ (გერმ.).

მიუხედავად ამისა, სპორტულ მიმოხილველთა აზრით 1960-1961 წლების თასის გათამაშება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველა აქამდე ჩატარებული შეჯიბრება. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას იწვევს „რეალის“, „ბენფიკას“, „იუვენტუსის“ და „ტოტენჰემ პოტსპურის“ თამაშს.

თასის მორიგი გათამაშების დაწყებამდე შედგება ორი საკონტინენტთაშორისო მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელს „ბენფიკას“ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ „პენიაროლს“ (ურუგვაი) შორის. მატჩები გაიმართება მონტევიდეოსა და ლისაბონში.

რედაქტორი ი. უზულაშვილი

წყალოპყიი
ფიზკულტურელის საზოგადოებრივი
8-14 ივლისი
სამართველოს პირველოგა
დასაწყისი 18 საათზე.

სპორტის სასახლე
დღეს!
სსრ კავშირის პირველოგა
„დინამო“ (თბილისი) — „ბურჰვესტნიკი“
(ლენინგრადი)
დასაწყისი 21 საათზე.

სპორტის სასახლე
დღეს!
სსრ კავშირის პირველოგა
„დინამო“ (თბილისი) — „პანკნარდნი“ (ხარკოვი)
დასაწყისი 18 ს. 45 წ.